

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ.თბილისი

25.11.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:*

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;

ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ შენგელია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

სალომე წურწუმია - დავების სამმართველოს უფროსი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ანზორ მაჭარაშვილი - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის რექტორი;

2. თემურ წურწუმია - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის იურისტი;

3. სოფიო მაჭარაშვილი - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის კანცლერი;

4. ნინო ტორონჯაძე - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კანცლერი;

5. ქეთევან ჯინჭარაძე - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

6. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

7. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):

თამარ გვიანიშვილი;

თეა ნადირაძე;

ნინო ჯოჯუა;

მარიამ დარბაიძე;

კახაბერ ერაძე;

მარინა გედევანიშვილი.

სხვა დამსწრე პირები:

1. დანიელ დავითაშვილი - პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:55 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრში 2014 წლის 20 ნოემბერს შემოსული კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის №924703) შპს თბილისის საერთაშორისო აკადემია ითხოვდა საკითხის გადადებას მომდევნო სხდომისთვის. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვას ხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს დაწესებულებაში მყოფმა ავტორიზაციის ექსპერტებმა, თეა ნადირაძემ და სალომე წურწუმიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ მოიცავდა თეორიულ სასწავლო კურსებს, პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას. პროგრამის თეორიული კომპონენტის ნაწილში განსაზღვრულ სასწავლო კურსებში „ანალიზური ქიმია“, „ბიოფარმაცია ფარმაკოკინეტიკით“, „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“, „მზა წამალთა ფორმების ტექნოლოგია 1“ სწავლის მეთოდად გამოიყენებოდა პრაქტიკული მეცადინეობა და მისაღწევ შედეგებშიც აღწერილი იყო ქიმიურ ლაბორატორიაში/აფთიაქში განსახორციელებელი აქტივობების უნარი. მაგალითად: სასწავლო კურსში „ანალიზური ქიმია“ „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში“ მითითებული იყო შემდეგი - „შეუძლია გამოიყენოს ნივთიერების კვლევის ძირითადი მეთოდები ქიმიურ ლაბორატორიაში..... საანალიზო ნიმუშების აღება, ქიმიური ჭურჭლის დაზიანების დაკალიბრება, ტიტრირების ხსნარებისა და რეაქტივების მომზადება;“ სასწავლო კურსში „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში აღნიშნული იყო - „შეუძლია რეაქციის მიმდინარეობის მიმართულეების განსაზღვრა, წონასწორობის დამყარების სწორი შეფასება, მიღებული ცოდნის გამოყენება თეორიული გაანგარიშებების შესასრულებლად, პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, ექსპერიმენტის ჩასატარებლად და მიღებული შედეგების გაანალიზება;“ სასწავლო კურსი „მზა წამალთა ფორმების ტექნოლოგია - 1“ მიზანი და შედეგები ადასტურებდა სტუდენტში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, კერძოდ აფთიაქში პრაქტიკულ საქმიანობას. დაწესებულების ერთი აუდიტორია ეთმობოდა ქიმიის კაბინეტს (№25 ოთახი), რომელშიც განთავსებული იყო გარკვეული სახის ინვენტარი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, შპს - ორიენტირის (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების ოქმი, #1 (23.12.2013), ინვენტარის გადაცემის შესახებ. ოქმს თან ერთვის დანართი ქიმიური ლაბორატორიის ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალით, თუმცა აღნიშნული დანართი არ იყო ხელმოწერილი და დამოწმებული ბეჭდით, ამასთან არ იყო დანომრილი.

1.2 აღნიშნული სასწავლო კურსების გარდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტიც ითვალისწინებდა, კერძოდ „პრაქტიკა - სოციალური ფარმაცია“ (10 კრედიტი) და „პროფესიული პრაქტიკა (ფარმაცევტული ტექნოლოგიები, ფარმაცევტული ანალიზი, ფარმაცევტული დახმარება)“ (9 კრედიტი).

დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად სამ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმი - შპს „პეპო“, შპს „აფთიაქი 34“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი. დაწესებულებამ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მემორანდუმი გააფორმა 2014 წლის 14 ნოემბერს ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში. მემორანდუმები გაფორმებულია 2020 წლის 30 ივლისის ჩათვლით. მემორანდუმში განსაზღვრულია სტუდენტთა „პრაქტიკის სწავლება“ და არა თეორიული კომპონენტში გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლება.

1.3 პროგრამის პრაქტიკის სილაბუსი ითვალისწინებდა დასწრების შეფასებას (15 ქულა). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - "კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი შედეგის მისაღწევად." აღნიშნულის შესაბამისად, სტუდენტისთვის ქულის მინიჭება უნდა მომხდარიყო მიღწეული შედეგით, რაც მხოლოდ დასწრებით ვერ დადასტურდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დანტერესდა სტუდენტი ფასდებოდა თუ არა მხოლოდ დასწრების კომპონენტით, რაზეც თეა ნადირაძემ განმარტა, რომ დასწრება ამ შემთხვევაში იყო შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებობდა პრაქტიკის ერთ სილაბუსი, სადაც დასწრება შეფასებული იყო 15 ქულით. პრაქტიკის შეფასება მოიცავდა შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასება მოიცავდა სხვადასხვა აქტივობებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სხვა სილაბუსებთან მიმართებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონიათ, რაც შეეხება აღნიშნულ ნაწილს, მან აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში კანონი არ დარღვეულა.

თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი კვლავ რჩებოდა დასკვნაში დაფიქსირებულ პოზიციაზე და აღნიშნა, რომ ცალკე მხოლოდ დასწრების შეფასება ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

1.4 დაწესებულების „დებულების“ მე-2 მუხლით განსაზღვრული იყო კოლეჯში სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი. აღნიშნული მუხლის 2.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კოლეჯში საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით (მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება) და დადგენილ ვადებში დასაშვები იყო სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი 52-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობისკანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-2 მუხლის პირველ პუნქტს. იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ნორმატიული აქტებით არ იყო წინაპირობად დადგენილი 2 ან მეტი წლიანი ცხოვრების ცენზი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული ცენზის დადგენა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების იურისტმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ დაწესებულებას დოკუმენტი შემუშავებული ჰქონდა მარტის თვეში, ხოლო შესაბამისი ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში გამოცემული იყო ნოემბერში, ანუ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. აქედან გამომდინარე, დაწესებულება თვლიდა, რომ აღნიშნული დარღვევას არ წარმოადგენდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების ბრძანებები და დოკუმენტები დამტკიცებული იყო 2014 წლის მარტში, ხოლო ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული იყო 2013 წლის მაისის თვეში. შესაბამისად, ვიზიტის დროს უკვე მოქმედებდა აღნიშნული რეგულაცია და დაწესებულება ვალდებული იყო თავისი დოკუმენტაცია შესაბამისობაში ჰქონოდა მოქმედ კანონმდებლობასთან.

1.5 დაწესებულების „დებულების“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილებოდა კოლეჯისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. ამავე დებულების მე-13 მუხლის 13.8 ქვეპუნქტის თანახმად პირს, რომელსაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში, უნდა განეახლებინა ხელშეკრულება კოლეჯთან. სწავლის საფასური, ამ შემთხვევაში, განისაზღვრებოდა სტუდენტის სტატუსის აღდგენისას კოლეჯში დადგენილი ტარიფით. ვინაიდან, დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, არ ირკვეოდა, ხელშეკრულების განახლება იწვევდა სტუდენტის მდგომარეობის გაუარესებას, თუ ფორსმაჟორული გარემოების გამო ტარიფის შეცვლის გამართლებას. თუ დაწესებულება პირისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროს მასსა და სტუდენტს შორის არსებული ურთიერთობას მიიჩნევდა შეჩერებულად, შეეძლო სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ხელშეკრულების განახლება სტუდენტის საზიანოდ, ვინაიდან სტატუსის აღდგენით სტუდენტი აგრძელებდა იმავე სამართალურთიერთობას, რაც იყო წარმოშობილი დაწესებულებასთან. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰქონდა გამიჯნული ხელშეკრულების განახლების პირობები. შესაბამისად, შესაძლოა ზემოაღნიშნული ჩანაწერით, დაწესებულების მიერ ფორსმაჟორული მდგომარეობის არ არსებობის შემთხვევაშიც განხორციელებულიყო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ტარიფის ზრდა, რაც გამოიწვევდა სტუდენტის უფლების დარღვევას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მხარეები თავისუფლები იყვნენ ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში. დაწესებულებას ამ შემთხვევაში გათვალისწინებული ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, თუ სწავლის საფასური გაიზარდა, სტუდენტს სტატუსის აღდგენის შემდეგ არ მოუწევდა ძველი ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული გადასახადის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში მოხდებოდა არა ახალი ხელშეკრულების გაფორმება, არამედ ძველი ხელშეკრულების განახლება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კანონი არ კრძალავდა ნებისმიერ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტი საუბრობდა სტუდენტების ინტერესების შესაძლო დაზარალებაზე მაშინ, როდესაც დაწესებულება ორიენტირებული არ იყო სტუდენტთა ინტერესების შელახვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რატომ ვერ მოხდა სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის ნახვა, რაზეც სალომე წურწუმიამ განაცხადა, რომ მსგავსი რამ დაწესებულებას შემუშავებული არ ჰქონდა.



აღნიშნულთან დაკავშირებით თემურ წურჭუმიამ განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მხრიდან მოხდა ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რაც ექსპერტებმა მოითხოვეს. ხელშეკრულების ფორმა მათი მხრიდან მოთხოვნილი არ ყოფილა. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულების სტატუსიდან გამომდინარე ხელშეკრულება არც ერთ სტუდენტთან არ იყო გაფორმებული. თემურ წურჭუმიამ აღნიშნა, რომ სტანდარტი არ ავალდებულებდა დაწესებულებას მსგავსი ხელშეკრულების პროექტის არსებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, უნდა ჰქონოდა თუ არა დაწესებულებას ხელშეკრულების პროექტი, რაზეც თემურ წურჭუმიამ განაცხადა, რომ მსგავსი რამ დაწესებულებას უნდა ჰქონოდა და ვიზიტის პერიოდშიც არსებობდა. მან დაამატა, რომ აღნიშნული ფორმის წარმოდგენა დაწესებულებას შეეძლო საბჭოსთვისაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში მოხდა ყველა ბრძანების მოთხოვნა, რომლითაც დაწესებულებაში რაიმე ტიპის ფორმა იყო დამტკიცებული. მან აღნიშნა, რომ ბრძანებების რეგისტრაციის წიგნში არ ფიქსირდებოდა ბრძანება, რომლითაც ხელშეკრულების ფორმა იქნებოდა დამტკიცებული. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ კონკრეტულად ხელშეკრულების ფორმა ვიზიტის პერიოდში მოთხოვნილი არ ყოფილა, რადგან ექსპერტებმა მოითხოვეს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა დაწესებულების ფაქტობრივ გარემოებებს. სალომე წურჭუმიამ ასევე დაამატა, რომ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი დანართად იყო წარმოდგენილი.

1.6 დაწესებულების „დებულების“ მე-14 მუხლის 14.2 პუნქტის თანახმად კრედიტების მოპოვების მიზნით, სასწავლო კურსის თავიდან გავლა შესაძლებელი იქნებოდა სალექციო პროცესის დასრულებიდან ახალი სემესტრის დაწყებამდე, რექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში. დაწესებულებაში ერთი სემესტრი 19 კვირას წარმოადგენდა. შემოდგომის სემესტრის დასრულებიდან გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე განსაზღვრული პერიოდი შესაძლოა ყოფილიყო 2 ან 3 კვირა, უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემთხვევაშიც, მაგალითად, ორი თვე, სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების მაქსიმალური ოდენობა შესაძლოა ყოფილიყო 12 კრედიტი (300 საათი). „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესიდან“ გამომდინარე, შეუძლებელია სტუდენტმა ათვისოს ორ თვეში 300 საათზე მეტი, რის საშუალებასაც, დაწესებულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი აძლევდა. სალომე წურჭუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული სემესტრების დასრულების შემდეგ კრედიტების რა რაოდენობის ათვისების საშუალებას აძლევდა სტუდენტს. მან ასევე დაამატა, რომ ვინაიდან დებულება სტუდენტს კრედიტების არჩევისა საშუალებას აძლევდა, მას ასევე კრედიტების მოთხოვნის შესაძლებლობაც უნდა ჰქონოდა. აქედან გამომდინარე დგებოდა იმის საშიშროება, რომ სტუდენტი შესაბამის სწავლის შედეგზე ვერ გასულიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურჭუმიამ განაცხადა, რომ დაწესებულება იცავდა პრიციპს, რომლის მიხედვითაც სტუდენტს 1 წლის განმავლობაში მინიმუმ 60 და მაქსიმუმ 75 კრედიტი უნდა აეთვისებინა. დაწესებულებას არ ჰქონდა რაიმე ტიპის რეგულაცია, რომელიც აკრძალავდა სემესტრსა და სემესტრს შორის სტუდენტების დამატებით სწავლებას. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მათი რეგულაციები კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სალომე წურჭუმიამ განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული თუ რამდენი კრედიტის ათვისების უფლებას აძლევდა სტუდენტს, არ



ჰქონდა შემუშავებული მექანიზმი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნებოდა კრედიტების ათვისების პერიოდი. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტებმა დაითვალეს სასწავლო კვირების ოდენობა და აიღეს დროს ხანგრძლივობის მაქსიმუმი - 2 თვე. გავრცელებული პრაქტიკიდან გამომდინარე სემესტრებს შორის 2-3 კვირიანი შუალედი იყო, რა დროშიც სტუდენტი 12 კრედიტის ათვისებასაც ვერ მოახერხებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმამ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი დარეგულირდებოდა დაწესებულების რექტორის ბრძანებით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვის საკითხი შესწავლილ იქნა დაწესებულების ადგილზე დათვალიერებით. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს წარმოუდგინა დაწესებულებაში არსებული ინვენტარის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, შპს - ორიენტირის (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების №1 ოქმი (23.12.2013), რომელშიც საუბარია შპს - ორიენტირის შენობაში არსებული მოძრავი ქონების (კომპიუტერული ტენიკა, ავეჯი და ა.შ) შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირისათვის გადაცემაზე მიღება - ჩაბარების აქტი. დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი (23.12.2013) და დანართი, რომელშიც განსაზღვრული იყო მოძრავი ქონების ჩამონათვალი, თუმცა დანართის სახით წარმოდგენილ იქნა რამდენიმე დოკუმენტი (წიგნების; ინვენტარის; ქიმიური ლაბორატორიის აჭურვილობა), რომელიც არ იძლეოდა იმის გარკვევის საშუალებას, აღნიშნული წარმომადგენდა ერთ დანართს, თუ მიღება-ჩაბარების აქტს ერთვოდა რამდენიმე დანართი. ამასთან, არც მიღება-ჩაბარების აქტში არ იყო მითითებული დანართების რაოდენობა. დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო დანომრილი, არ იყო ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, რაც იძლეოდა მისი განცალკევებისა და შეცვლის საშუალებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ქიმიური ლაბორატორიის ინვენტარის ჩამონათვალი დათარიღებული იყო 2013 წლის 13 დეკემბრით. მაშინ როდესაც მიღება-ჩაბარების აქტი მომზადებული იყო 2013 წლის 23 დეკემბერს. ამასთან, დანართების ნებისმიერ დროს ცვლილების ეჭვს ამყარებდა ის გარემოება, რომ თავდაპირველად ქიმიური ლაბორატორიის ინვენტარის გადაცემის შესახებ დანართი არ ყოფილა წარმოდგენილი (მიღება-ჩაბარების აქტთან ერთდ), ექსპერტთა მიერ ქიმიის ლაბორატორიის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგ დაწესებულებამ განცალკევებით წარმოადგინა, დანართი და განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტს (23.12.2013) თანდართულ დოკუმენტს წარმოადგენდა. თუმცა მიღება- ჩაბარების აქტისა (23.12.2013) და დანართის (13.12.2013) თარიღები არ ემთხვევოდა ერთმანეთს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შპს - „ორიენტირის“ (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების ოქმი №1 - თან (23.12.2013) დაკავშირებით ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს რამდენიმე გარემოებას. აღნიშნული ოქმისათვის მინიჭებული იყო ნომერი „ №1“, ოქმი გაფორმებული იყო 23.12.2013 წელს და წარმოადგენდა შპს ორიენტირის (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების ოქმს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი შპს - ორიენტირის (ს/კ: 200011904) პარტნიორთა კრების ოქმი №01, რომელიც დათარიღებული იყო 2013 წლის 8 ოქტომბრით, ხოლო მის შინაარსს წარმოადგენდა შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის დაფუძნება. 2013 წლის 8 ოქტომბრისა და 2013 წლის 23 დეკემბრის ოქმებს მინიჭებული ჰქონდათ ერთი და იგივე ნომერი ერთსა და იმავე წელს. 2013 წლის 8 ოქტომბრის ოქმი რეგისტრირებული იყო სამეწარმეო რეესტრში. რაც შესაძლოა ყოფილიყო 2013 წლის 23 დეკემბრის ოქმის გაფორმებისა და პარტნიორთა კრების მიერ უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირისათვის მოძრავი ქონების გადაცემის საკითხში ეჭვის შეტანის საფუძველი.



სალომე წურჭუმიამ განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოებები ბადებდა სერიოზულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ დანართების შეცვლა შესაძლებელი იყო ნებისმიერ დროს. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ მსგავსი ბუნდოვანება საშუალებას აძლევდა შპს „ორიენტირს“ ნებისმიერ დროს უკან წაეღო თავისი ქონება, რადგან დანართებში ზუსტად არ იყო გაწერილი რა ქონების გადაცემა მოხდა კონკრეტულად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, შპს „ორიენტირის“ მიერ უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირისადმი ქონების გადაცემა ბალანსიდან ბალანსზე მოხდა თუ არა, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა. სალომე წურჭუმიამ განაცხადა, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

საბჭოს თავმჯდომარემ გაანცხადა, რომ თუ ვიზიტის პერიოდში არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტაცია, დაწესებულებას შეეძლო სხდომაზე დამატებით წარმოედგინა დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს „ორიენტირის“ და ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების დამფუძნებელი იყო ერთი ოჯახი და დაწესებულება არსებობდა 23 წლის განმავლობაში. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ფოტომასალა, სადაც ასახული იყო შპს „ორიენტირისა“ და „უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის“ ქონება.

დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემის ფაქტი ეჭვს არ იწვევდა, რადგან არსებობდა დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პარტნიორთა კრების ოქმებში ასახული იყო გადაწყვეტილება უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის დაფუძნების შესახებ და დოკუმენტი რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. თემურ წურჭუმიას განმარტებით, ამავე ოქმში ნათქვამი იყო, რომ შპს ორიენტირის ქონება გადაეცემოდა მის მიერ დაფუძნებულ შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირს, რაც აისახა დანართებში. თემურ წურჭუმიამ განაცხადა, რომ დანართების ხელმოწერის ვალდებულება არ არსებობდა, რადგან ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთი და იგივე პირები იყვნენ, ამიტომ ქონების ფლობა ეჭვს არ იწვევდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებას სურდა მიეღო საჯარო საქმიანობის უფლება, ვალდებულებას წარმოადგენდა დოკუმენტაციის გამართული წარმოება. მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს სჭირდებოდა ისეთი სახის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა შპს უმაღლესი სასწავლებელ ორიენტირის მიერ ქონების მართლზომიერ ფლობას. ექსპერტმა დასკვნის დანართებში წარმოდგენილი ფორმით მიღება-ჩაბარების აქტი დადასტურებად ვერ გამოდგებოდა, საჭირო იყო დამატებით თუნდაც ბუღალტრული ინვენტარიზაციის ნუსხა. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დასკვნის გაცნობის შემდეგ რატომ არ იზრუნეს იმაზე, რომ საბჭოს სხდომაზე მომხდარიყო აღნიშნულის წარმოდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი დოკუმენტაცია არსებობდა აღწერილი ზონარგაყრილ ჟურნალში, რომელიც ინახებოდა დაწესებულების ბუღალტერიაში. დაწესებულების მეორე წარმომადგენელმა საბჭოს გადასცა შპს „ორიენტირის“ 2014 წელს შეძენილი ქონების ნუსხა. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტები ვიზიტის პერიოდში გამოხატავდნენ კმაყოფილებას დაწესებულების ინვენტარის დათვალიერების შემდეგ.

აღნიშნულთან დაკავშირებით სალომე წურჭუმიამ განაცხადა, რომ ექსპერტმა მხრიდან კმაყოფილება გამოითქვა იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულებას ყველა ოთახის კარზე გამოკრული ჰქონდა იმ სივრცეში არსებული ინვენტარის დასახელება და ოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანზორ მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ გაუგებარი იყო რატომ შეიძლებოდა ეჭვის გაჩენილიყო ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებს იმავე სხდომაზე შეეძლოთ ხელმოწერით დაედასტურებინათ ქონების ფლობა.



საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქონების არასწორად გადაცემას თან ახლდა მრავალი რისკი, მაგალითად ის, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში შპს „ორიენტის“ საკუთარი ქონებით მოუწევდა პასუხისგება, რაც გამოიწვევდა შპს „უმაღლესი სასწავლებელ ორიენტისათვის“ მოძრავ ქონების ჩამორთმევას. მან ასევე დაამატა, რომ ეს იყო შესაძლო რისკები, რაც სტუდენტებს შეიძებოდა შექმნოდათ სასწავლო პროცესში. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით სტანდარტის მოთხოვნა იყო, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში დაფიქსირებულიყო სათანადო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო ინვენტარი. მან აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანს ამ შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენდა და საბჭო ამ შემთხვევაში სჭირდებოდა დარწმუნება არა ემოციურად, არამედ შესაბამისი დოკუმენტაციით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა გამოსწორდებოდა, თუ დაწესებულებას ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა განაცხადა, რომ მიღება-ჩაბარების აქტში ეწერა ტექსტი შემდეგი შინაარსით, რომ შპს ორიენტმა უსასყიდლოდ გადასცა, ხოლო შპს უმაღლესმა სასწავლებელმა ორიენტმა მიიღო თანდართული ჩამოთვლილი მოძრავი ქონება, რასაც მხარეები ადასტურებდნენ ხელმოწერით. მან აღნიშნა, რომ თანდართული დოკუმენტაცია აქვე უნდა ყოფილიყო დანართების სახით წარმოდგენილი და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აღნიშნული ქონება იყო თუ არა შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტის ბალანსზე აყვანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ ქონება ბალანსზე იყო აყვანილი. მან ასევე დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა მოითხოვეს შპს ორიენტის ქონების დამდასტურებელი დოკუმენტაცია და რადგან მოთხოვნა განხორციელდა ვიზიტის ბოლო დღეს, დაწესებულებამ ვერ მოახერხა დოკუმენტაციის წარმოდგენა. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტთა მოთხოვნა გამოდიოდა არა შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტის, არამედ სხვა დაწესებულების შემოწმება. დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული წარმომადგენელმა დაწესებულებისათვის ყველაზე მარტივ ოპერაციას და საჭიროების შემთხვევაში სხდომაზევე მოხდებოდა მისი გასწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტის ქონების ამსახველი ფოტომასალა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი მხრიდან მართლაც მოხდა შპს ორიენტის ქონების ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განუცხადა, რომ ექსპერტთათვის მნიშვნელოვანი იყო შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტის ქონების ფლობის დადასტურება, რაც აღნიშნული დოკუმენტაციით დასტურდებოდა და შესაბამისობაში იყო კანონთან.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, აღნიშნული ქონება შპს „ორიენტის“ შპს „უმაღლეს სასწავლებელ ორიენტის“ მფლობელობაში გადასცა თუ საკუთრებაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განამარტა, რომ აღნიშნულის გადაცემა მოხდა საკუთრებაში.

2.2 დაწესებულებაში იყო მხოლოდ 9 სასწავლო აუდიტორია (№7; №14; №15; №17; №20; №21; №22; №23; №25), რომელშიც შესაძლოა წარიმართოს სასწავლო პროცესი. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა განეხორციელებინა ორი საბაკალავრო პროგრამა: მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროგრამა; მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამა; კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამა. აღნიშნული პროგრამების სრულად დატვირთვის შემთხვევაში დაწესებულებას ფაქტობრივად არ ექნებოდა აუდიტორია სადაც შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო პროცესის წარმართვა,



კერძოდ აუდიტორიების არ არსებობის გამო შესაძლო იყო ვერ წარმართულიყო გარკვეული სასწავლო კურსები. ამასთან, დაწესებულებაში სამუშაო საათები განსაზღვრული იყო მხოლოდ 09:00 საათიდან 18:00 საათამდე (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით), დაწესებულების რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №03 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული დრო განსაზღვრული იყო სამუშაო საათებად დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც, ვინაიდან სამუშაო დროსთან დაკავშირებით შრომით ურთიერთობას აწესრიგებდა შრომის შინაგანაწესი.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტომასალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება შეძლებდა დამატებითი ფართის გამოყოფას. მისივე განმარტებით, დაწესებულებას შეეძლო 2 ცვლაში ეწარმოებინა სწავლება და მათი გამოთვლებით ეყოლებოდათ 8 საბაკალავრო და 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფი. შესაბამისად, სტუდენტების განთავსების პრობლემა არ იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სპორტული დარბაზის მოთხოვნა ავტორიზაციის სტანდარტით არ იყო გათვალისწინებული და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მის სასწავლო აუდიტორიად გამოყენება. მან ასევე დაამატა, რომ შენობა აშენებული იყო 2011 წელს და თავიდანვე გათვლილი იყო, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს ფაქტობრივი მდგომარეობა ჰქონდათ აღწერილი, რათა საბჭოს გათვალისწინებინა გარემოება სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს.

თემურ წურწუმიამ დაამატა, რომ დაწესებულების შინაგანაწესი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, დასაქმებულებს ცხრილისა და დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე განესაზღვრათ სამუშაო გრაფიკი.

2.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ბიბლიოთეკაში გადამოწმდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნდა სასწავლო კურსების სილაბუსებში, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მითითებული ყველა წიგნი ბეჭდური ფორმით და რამდენიმე სახელმძღვანელო ელექტრონული ფორმით. ზოგიერთი სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ერთი ეგზემპლარის სახით. ხოლო ბიბლიოთეკის მოცულობას ზრდიდა ლიტერატურა, რომელიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურად სასწავლო კურსებში. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულებას აძლევდა შესაძლებლობას გამოეყენებინა EBSCO HOST და IMF LIBRARY რესურსები, ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმებული იყო ერთი წლის ვადით.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა მოითხოვა ამ პუნქტის განმარტება, რაზეც სალომე წურწუმიამ განაცხადა, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ნახევარი არ გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისათვის.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ თუ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლიტერატურა ფიქსირდებოდა, ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკის ნაწილთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობდა.



ექსპერტმა თეა ნადირაძემ განაცხადა, ექსპერტებმა აღნიშნული აღწერეს, როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო, როგორც დადებით კონტექსტი, შესაბამისად ექსპერტებს ამ საკითხთან მიმართებით შენიშვნები არ გააჩნდათ.

2.4 შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის დებულებაში, რომელიც დამტკიცებული იყო დაწესებულების რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №01 ბრძანებით, განსაზღვრული იყო დაწესებულების სტრუქტურა. აღნიშნული დებულების შესაბამისად, კოლეჯის მართვის ორგანოებს წარმოადგენდა ა) დამფუძნებელთა კრება; ბ) რექტორი; გ) კანცლერი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი); დ) აკადემიური სამსახური; ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები: ა) სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახური; ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; გ) ბიბლიოთეკა; დ) სამართლებრივი უზრუნველყოფის, საქმისწარმოებისა და პერსონალის მართვის სამსახური; ე) ფინანსური სამსახური; ვ) სამეურნეო, დაცვა-უსაფრთხოებისა და სამედიცინო სამსახური; კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებია: ა) ბიზნესის ფაკულტეტი და ბ) ჯანდაცვის ფაკულტეტი.

დაწესებულების რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №02 ბრძანებით დამტკიცებული იყო შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის სამტატო ერთეული. დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე პირები დანიშნულნი იყვნენ დაწესებულების რექტორის ბრძანებებით. აღნიშნული ბრძანებები თავის ბუნებით და საქართველოს შრომის კოდექსის დანაწესიდან გამომდინარე წარმოადგენდა შრომით ხელშეკრულებებს. ბრძანებში არ იყო განსაზღვრული, რომ დაწესებულების შრომის შინაგანაწესი წარმოადგენდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, დაწესებულების მიერ დარღვეული იყო ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის პირობები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, ვინაიდან მასში არ განისაზღვრებოდა შრომითი ურთიერთობის არსებითი პირობები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე ვიზიტის პერიოდში გაესაუბრნენ საკონტაქტოდ გამოყოფილ პირს - თემურ წურწუმიას. რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულება გააფორმებდა შრომით ხელშეკრულებებს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშნულ პირებთან კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ვიზიტის ბოლო დღეს 2014 წლის 14 ნოემბერს წარმოადგინა ერთ-ერთ ადმინისტრაციულ პერსონალთან, კერძოდ თემური წურწუმიასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. თუმცა, შრომით ხელშეკრულებას არ ჰქონდა მინიჭებული ნომერი, იმ პირობებში, როდესაც დაწესებულების საქმისწარმოების წესი ითვალისწინებდა შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციასა და მისთვის შესაბამისი ნომრის მინიჭებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენელს არ წარმოუდგენია სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფ პირებთან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტმა, სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ რადგან სტრუქტურული ერთეულები შედგებოდა თანამშრომლებისაგან, შესაბამისად მოხდა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე გაფორმებული პირების შრომითი ხელშეკრულებების გადამოწმება. მან ასევე დაამატა, რომ ადგილზე მოხდა განმარტება იმ გარემოების, რომ დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა ეწინააღმდეგებოდა საქართველოში მოქმედ შრომის კანონმდებლობას, ვინაიდან შრომის კოდექსის თანახმად ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს არსებით პირობებს. მან ასევე დაამატა, რომ ვიზიტის ბოლო დღეს წარმოდგენილ შრომითი ხელშეკრულება აკმაყოფილებდა



საქართველოში მოქმედ შრომის კანონმდებლობას, თუმცა დარღვეული იყო დაწესებულების მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი.


აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ ერთის მხრივ ექსპერტი ამბობდა, რომ ეს ბრძანება თავისი შინაარსით იყო ხელშეკრულება, ხოლო მეორე მხრივ აცხადებდა რომ ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებულ პერსონალთან, რაც ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. თემურ წურწუმიამ ასევე დაამატა, რომ დაწესებულების შინაგანაწესში იყო ჩანაწერი, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილს. შრომის კოდექსი აღნიშნავდა იმას, რომ ბრძანების მსგავსი დოკუმენტები გათანაბრებული იყო შრომით ხელშეკრულებასთან, რადგან აქ გამოხატულია დამსაქმებლის ნება. გარდა ამისა, ყველა პირად საქმეში ინახებოდა შინაგანაწესის გაცნობის ფურცელი, რომლითაც პერსონალი ადასტურებდა დოკუმენტის გაცნობას ხელმოწერით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების შენიშვნა მდგომარეობდა შრომის არსებითი პირობების გაურკვეველობასთან დაკავშირებით და არა შიდა რეგულაციების გაცნობის საკითხთან, რაც სრულიად სხვადასხვა ცნებები იყო.

თემურ წურწუმიამ განმარტა, რომ აკადემიურ თანამდებობებთან მიმართებით იყო ანალოგიური - შინაგანაწესის გაცნობის დადასტურება. მათ ხელშეკრულებაში ანალოგიურად არ იყო შრომის კოდექსით განსაზღვრული ექვსი ძირითადი პუნქტი, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ შრომის კოდექსის მოთხოვნები დასაქმებულებთან მიმართებით არ იყო გათვალისწინებული, რადგან თავად კანონმდებლობა აძლევდა დაწესებულებას იმის საშუალებას, რომ შინაგანაწესი ყოფილიყო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. მან ასევე დაამატა, რომ ყველა ხელშეკრულება გაფორმდა და დაწესებულებას ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოზე.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, რატომ არ მოხდა ვიზიტის პერიოდში აღნიშნულის გასწორება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განამარტა, რომ ვიზიტის პერიოდში აღნიშნულის გამოწორება ვერ მოესწრო.

2.5 დაწესებულების სტრუქტურაში დაფიქსირდა შემდეგი გარემოება: დაწესებულების სურვილი ჰქონდა განეხორციელებინა საგანმანათლებლო საქმიანობა. რაც მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თავის თავში გულისხმობდა სტუდენტის მომზადებასა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭებას. შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №01 ბრძანებით დამტკიცებული „შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის დებულების“, მე-14 მუხლის 14.1 პუნქტისა და მე-15 მუხლის 15.1 პუნქტის თანახმად ბიზნესის ფაკულტეტი და ჯანდაცვის ფაკულტეტი იყო კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. აღნიშნულ მუხლებში განსაზღვრული იყო ფაკულტეტების, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საქმიანობის სფერო და უფლებამოსილებები. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹⁹ ქვეპუნქტის თანახმად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის რექტორის 2014 წლის 28 მარტის №05 ბრძანებით დამტკიცებული იყო „შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის სასწავლო პროცესის (აკადემიური განათლების) მარეგულირებელი დებულება“, რომლის მე-17 მუხლის 17.1 პუნქტის თანახმად კოლეჯის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამავე მუხლის თანახმად,




რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია სწავლობდა კურსდამთავრებულთა პირად საქმეებს და ამზადებდა დასკვნას ოქმის სახით კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინებოდა კოლეჯის რექტორს. ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე რექტორი იღებდა გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (ფაკულტეტები) არ წარმოადგენენ კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილ პირებს, რაც ეწინააღმდეგებოდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹⁹ ქვეპუნქტს, ვინაიდან, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენდა პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების სფეროში კვალიფიკაციის მიმნიჭებლად გვევლინება არა მართვის ორგანო, არამედ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. ამდენად, დაწესებულების მიერ დარღვეული იყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა.

სალომე წურწუმიამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განსაზღვრული სტრუქტურები არ ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავდა კონკრეტულ ნორმებს, რომელიც არ ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. შესაბამისად, ვიზიტის დრო არ მოხდა დაწესებულებისგან მათი დაკმაყოფილების მოთხოვნის წაყენება. თუმცა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹⁹ ქვეპუნქტი განმარტავს რა არის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. ეს არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ, ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. მან აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად განსაზღვრავდა ფუნქციურად ვინ ასრულებდა ასეთ მოვალეობას. შეიძლება ფუნქციურად ეს მოვალეობა შეესრულებინა სახელწოდებით სხვა სტრუქტურულ ერთეულს, თუმცა მისი შინაარსი თანხვედრაში უნდა ყოფილიყო ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისათვის განსაზღვრულ ფუნქციასთან. აქედან გამომდინარე, დააწესებულებას ჰქონდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, მაგრამ კვალიფიკაციას ანიჭებდა სხვა, რაც კანონს ეწინააღმდეგებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი კომპეტენციათა გამიჯვნას საზღვრავდა, და აცხადებდა, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს თავად შეეძლოთ კომპეტენციების გამიჯვნა და აღნიშნულის დარეგულირება. ექსპერტთა მიერ მოყვანილ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹⁹ ქვეპუნქტში საუბარი იყო ტერმინთა განამრტებებზე. მან აღნიშნა, რომ ტერმინთა განმარტება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო იმპრეტიულ ნორმად, რადგან დაწესებულება მთლიანად ეყრდნობოდა კანონს თავის საქმიანობაში. მითუმეტეს, როდესაც დაწესებულების რექტორი გამოსცემდა ბრძანებას საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ, იგი იხილავდა საკითხს და იღებდა გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭებასთან დაკავშირებით. კვალიფიკაციის დადასტურება კი ხდებოდა დიპლომზე რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით.

საბჭოს წევრი, ნინო სოზაშვილი დაინტერესდა ვინ ანიჭებდა კვალიფიკაციას კურსდამთავრებულებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ კვალიფიკაციას ანიჭებდა რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო



კომისია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები აფიქსირებდნენ, რომ კვალიფიკაციის მინიჭება მხოლოდ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ უნდა მომხდარიყო და დაამატა, რომ სხვა მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც იმ პრინციპით ხდებოდა კვალიფიკაციის მინიჭება, როგორც ამას შპს „უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირი“ ახორციელებდა.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ცენტრში ხშირად შემოსულა აღნიშნული შეკითხვა დაწესებულებების მხრიდან და მისი განმარტება ყოველთვის ერთგვაროვანი იყო. მან დაამატა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ყველა იმ პუნქტში, რომელიც ეხებოდა საჯარო დაწესებულებებს, განსაზღვრული იყო რეგულირების სფერო, ხოლო ძირითად საგანმანათლებლო ერთეულის შესახებ კანონი მსგავს რეგულაციას არ აკეთებდა, შესაბამისად ეს ნორმა ეხებოდა, როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამასთან, დიპლომის ფორმაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ მას ხელმოწერით ადასტურებდა რექტორი და იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელმაც მიანიჭა კვალიფიკაცია. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №126/ნ ბრძანებაში გაზიარებული იყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა და აღნიშნულის თაობაზე ცენტრმა არაერთხელ გააკეთა განმარტება სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა იმ რეგულაციებით, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ არ იზიარებდა ექსპერტთა მოსაზრებას და დაწესებულება ეყრდნობოდა მხოლოდ კანონს.

2.6 დაწესებულების პირველ სართულზე ფიქსირდებოდა ორი სველი წერტილი, ერთი ქალების, ხოლო მეორე მამაკაცებისათვის (ერთი კაბინით). დაწესებულების სხვა სართულებზე (მეორე-მესამე) წარმოდგენილი იყო ორი სველი წერტილი ქალებისა და მამაკაცებისათვის. მამაკაცებისათვის განკუთვნილი სველი წერტილის ერთი კაბინა არ იყო იზოლირებული.

2.7 დაწესებულება იყო ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობა, თითოეული სართული ერთმანეთს უკავშირდებოდა მოაჯირიანი კიბით, თითოეულ კიბეზე დამონტაჟებული იყო პანდუსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პანდუსის გასწვრივ არ ფიქსირდებოდა მოაჯირები. ამასთან, დაწესებულების მესამე და მეოთხე სართულზე არსებული სველი წერტილები არ იყო აღჭურვილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის (არ არსებობდა დასაყრდნობი მოაჯირები). პირველ სართულზე არსებული სველი წერტილი აღჭურვილი იყო აღნიშნული ინვენტარით. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ პირველ სართულზე არ მდებარეობდა აუდიტორიები, რომელშიც წარიმართებოდა სასწავლო პროცესი.

2.8 დაწესებულებაში იყო აუდიტორია, აღჭურვილი შესაბამისი კომპიუტერებითა და ინვენტარით, თითოეული კომპიუტერს ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. დაწესებულებამ მიუთითა, რომ აღნიშნული კომპიუტერების დაწესებულების საკუთრებაში ფლობა დასტურდებოდა შპს - ორიენტირის (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების №1 ოქმით (23.12.2013), რომელშიც საუბარი იყო შპს - ორიენტირის საკუთრებაში არსებული შენობაში არსებული მოძრავი ქონების (კომპიუტერული ტენიკა, ავეჯი და ა.შ) უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირისათვის გადაცემაზე. ქონების გადაცემა უნდა დადასტურებულიყო მიღება - ჩაბარების აქტით. დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება- ჩაბარების აქტი (23.12.2013), რომელშიც აღნიშნული იყო თანდართული ჩამონათვალი მოძრავი ქონების დაწესებულებისათვის გადაცემა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტის დანართი, რომელშიც აღნიშნული იყო კომპიუტერული ტექნიკის დაწესებულებისათვის

გადაცემა, იგი არ იყო ხელმოწერილი მხარეების მიერ, არ იყო ბეჭედდასმული და დანომრილი, რაც იძლეოდა მისი განცალკევებისა და ნებისმიერ დროს შეცვლის საშუალებას.

2.9 დაწესებულების სამკითხველო დარბაზი იყო მცირე ზომის კაბინეტი, რომელშიც განთავსებული იყო სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკა და მისი ნაწილი განკუთვნილი იყო წიგნების თაროებისთვის. აღნიშნული დარბაზის ინვენტარიდან გამომდინარე, მასში შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 15 კაცის განთავსება, ვინაიდან სხვა რაოდენობის პირთათვის ფატობრივად არ რჩებოდა სამუშაო ადგილი.

2.10 შპს - უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია (დამტკიცებული რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №01 ბრძანებით) რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი დაწესებულების მიერ გაცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის საკითხი. თუმცა დაწესებულების მიერ ასევე დანართის სახით წარმოდგენილ იქნა მეორე საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელზეც მითითებულია, რომ დამტკიცებული იყო რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №3 ბრძანებით. დანართი ბეჭედდასმულია და ხელმოწერილი იყო რექტორის მიერ. ამასთან, გადამოწმებულ იქნა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, რომელშიც რეგისტრირებული იყო რექტორის 2014 წლის 30 იანვრის №3 ბრძანება, რეგისტრირებული როგორც: „შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის შინაგანაწესისა და ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“. შესაბამისად, დაწესებულებას დარღვეული ჰქონდა საქმისწარმოების წესი. გაურკვეველი რჩებოდა, რომელი საქმისწარმოების ინსტრუქცია მოქმედებდა. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწყიმამ განმარტა, რომ ორი საქმისწარმოების ინსტრუქცია არ მოქმედებდა, 2014 წლის 30 იანვრის თარიღისა და დანართზე ბრძანების ნომრის „03“ მითითება საქმისწარმოების ინსტრუქციაზე წარმოდგენდა ტექნიკურ ხარვეზს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებას აკადემიური პერსონალი არჩეული ჰყავდა კონკურსის წესით. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ, პროფესორის თანამდებობაზე არჩეულ მანანა ორჯონიკიძეს მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი მიღებული ჰქონდა 1995 წლის 6 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციაში, მოსკოვში. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩეულ რამაზ შამუგიას მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი მიღებული ჰქონდა 1992 წლის 8 მაისს, რუსეთის ფედერაციაში, მოსკოვში. მათ პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. მანანა ორჯონიკიძე ამასთანავე წარმოდგენდა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 98/5 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ხდებოდა უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენა. ამდენად, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება.

კონკურსის წესით არჩეული სხვა აკადემიური პერსონალის (გარდა ზემოაღნიშნულისა) კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო დაკავებულ თანამდებობასთან, რომელიც დასტურდებოდა კვალიფიკაციით, სამუშაო გამოცდილებითა და კვლევითი კომპონენტით.



საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა იკითხა, აღნიშნული ორი პიროვნება დასაქმებული იყვნენ თუ არა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაზეც ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულები არ იყვნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოთხსენებული ორი პირი სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყვნენ აკადემიურ თანამდებობაზე. რამაზ შამუგიასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის საბჭოს 1991 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით რამაზ შამუგიას მინიჭებული ჰქონდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა უცხოეთში, არამედ საქართველოში მიღებულ განათლებასთან. ვინაიდან საბჭოთა კავშირის დროს ხარისხის მინიჭება ხდებოდა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის დაშლის გარდამავალ ეტაპზეც მსგავსი ტიპის დოკუმენტის გაცემა ხდებოდა რუსულ ენაზე, რუსეთის ფედერაციის მიერ.

3.2 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: დაწესებულების მიერ გამოცხადებული საკონკურსო პირობები და პროცედურა დამტკიცებული იყო შპს უმაღლესი სასწავლებელი „ორიენტირის“ რექტორის 2014 წლის 09 ივნისის №06 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა 2014 წლის 12 ივნისიდან. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, აპლიკანტს უნდა წარმოედგინა განცხადება, ფოტოსურათი, სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლის წაკითხვასაც აპირებდა, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატის/ნაშრომი, რომლითაც უდასტურებოდა კვლევითი პოტენციალი, პროფესორის შემთხვევაში ასევე დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა და დოქტორის აკადემიური ხარისხისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აკადემიური პერსონალის პირად საქმეში ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია განათვსებული იყო, გარდა სასწავლო კურსების სილაბუსებისა. სასწავლო კურსების სილაბუსები ექსპერტების მოთხოვნის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ცალკე დოკუმენტის სახით, დაწესებულების მიერ დამტკიცებული სილაბუსის ფორმის მიხედვით წარმოდგენილი იყო სულ 15 აპლიკანტის სილაბუსი, ნაცვლად ჩვიდმეტისა. სილაბუსებში აპლიკანტი აპლიკაციის წარმოდგენისთანავე ფიქსირდებოდა, როგორც აკადემიური სტატუსის მატარებელი პირი მაგ.: „უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის ასოცირებული პროფესორი“; „უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის პროფესორი“.

აპლიკანტებს პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მოეთხოვებოდათ 6, ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად - 3 წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ სილაბუსებში არსებული ჩანაწერი, კონკურსანტთა აკადემიური სტატუსის შესახებ მაგ.: „უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის ასოცირებული პროფესორი“; „უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის პროფესორი“ ეჭვს იწვევდა კონკურსის რეალურ ჩატარებასა და თანასწორობაში. ამასთან, ექსპერტთა მიერ მოთხოვნილ იქნა რამდენიმე სილაბუსის ასლის გადაღება, რომელიც ადასტურებდა აღნიშნულ გარემოებას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ექსპერტებს წარმოუდგინა იგივე სილაბუსები ზემოაღნიშნული ჩანაწერების გარეშე. შემდგომში



ექსპერტებმა შეარჩიეს სხვა სილაბუსები და თავად უზრუნველყვეს მათი ასლების გადაღება, რომელიც დანართის სახით თან ერთვოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. კონკურსის საკონკურსო კომისიის მუშაობაში ექვსის საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი გარემოება: „შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის მიერ აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩასატარებლად შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი №1” (31.07.14), რომლის შესაბამისადაც, საკონკურსო კომისია შედგებოდა სამი წევრისაგან, თუმცა თითოეულ კანდიდატს კენჭს უყრდა 5 (ხუთ) საკონკურსო კომისიის წევრი, რაც მიუთითებდა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის მხოლოდ ფორმალურად შედგენაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსების მოცულობის გამო ისინი განთავსებული იყო ცალკე ბაინდერში. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მათ არანაირი შეზღუდვა არ დაუწესებიათ აპლიკანტებისათვის, თუ რა ფორმით დააფიქსირდებდნენ თავს სილაბუსებში.

სალომე წურჭუმია ამ აღნიშნა, რომ სილაბუსების ასლის გადაღების დროს, დაწესებულებამ შეცვალა დოკუმენტი და სხვა სილაბუსი წარმოადგინა, რის შემდეგაც ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ მოხდა დოკუმენტაციის კოპირება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული ფაქტის გაზვიადებას წარმოადგენდა და ექსპერტის მხრიდან სუბიექტურ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მაშინ როდესაც იგი ახორციელებდა პროფესიულ სწავლებას, რატომ გადაწყვიტა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და რა იქნებოდა პირველი სუსტი მხარე, რაზეც ადმინისტრაცია ყურადღებას გაამახვილებდა. ირინა ხანთაძემ დაამატა, რომ ამ შემთხვევაში საბჭოს აინტერესებდა დაწესებულების ხედვა სამომავლო განვითარებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება 1992 წლიდან ფუნქციონირებდა. აღნიშნულ შენიშვნებს ადმინისტრაცია გაითვალისწინებდა და შეეცდებოდა ხარისხის გაუმჯობესებინა სამომავლოდ. დაწესებულების შედარებით სუსტ მხარედ რექტორმა აკადემიური პერსონალი და მათ პროფესიული განვითარების კუთხით მუშაობა დაასახელა.

საბჭოს წევრმა ნინო სოზაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რატომ არ ცდილობდნენ პროფესიული პროგრამების გაძლიერებას და რატომ სურდათ უმაღლესი საგანმანათლებლო სტატუსის მოპოვება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა მეხუთე საფეხურის სპეციალობების აღიარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც გამოიწვევდა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შემცირებას. პროფესიულ განათლების კანონი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა, რაც ართულებდა კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქმიანობას.

სხდომაზე დამსწრე პირმა, დენის დავითაშვილმა საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად საბჭოს და განაცხადა, რომ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა აკადემიურად და პროფესიონალურად, რაც საბჭოს წევრების მაღალკვალიფიციურობაზე მიუთითებდა. მან დაამატა, რომ დაწესებულება მზად იყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის და ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გამოასწორებდნენ იმ ტექნიკურ საკითხებს, რაც ექსპერტთა დასკვნაში იყო დაფიქსირებული.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 19:35 საათზე.

სხდომა განახლდა 19:52 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანს წარმოადგენს არა ავტორიზაციის მაძიებლებისთვის ხელის შეშლა, არამედ მათთვის დახმარების გაწევა. მან იმედი გამოთქვა, რომ დაწესებულება კვლავ შემოიტანდა ავტორიზაციაზე განაცხადს და აღნიშნა, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების



მიღების მიზეზს წარმოადგენდა ის არსებითი ხარვეზები, რაც დასკვნაში იყო დაფიქსირებული. კერძოდ:

1. დაწესებულების „დებულების“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილებოდა კოლეჯისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. ამავე დებულების მე-13 მუხლის 13.8 ქვეპუნქტის თანახმად პირს, რომელსაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში, უნდა განეახლებინა ხელშეკრულება კოლეჯთან. სწავლის საფასური, ამ შემთხვევაში, განისაზღვრებოდა სტუდენტის სტატუსის აღდგენისას კოლეჯში დადგენილი ტარიფით. ვინაიდან, დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, არ ირკვეოდა, ხელშეკრულების განახლება იწვევდა სტუდენტის მდგომარეობის გაუარესებას, თუ ფორსმაჟორული გარემოების გამო ტარიფის შეცვლის გამართლებას. თუ დაწესებულება პირისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროს მასსა და სტუდენტს შორის არსებული ურთიერთობას მიიჩნევდა შეჩერებულად, შეეძლო სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ხელშეკრულების განახლება სტუდენტის საზიანოდ, ვინაიდან სტატუსის აღდგენით სტუდენტი აგრძელებდა იმავე სამართალურთიერთობას, რაც იყო წარმოშობილი დაწესებულებასთან. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰქონდა გამიჯნული ხელშეკრულების განახლების პირობები. შესაბამისად, შესაძლოა ზემოაღნიშნული ჩანაწერით, დაწესებულების მიერ ფორსმაჟორული მდგომარეობის არ არსებობის შემთხვევაშიც განხორციელებულიყო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ტარიფის ზრდა, რაც გამოიწვევდა სტუდენტის უფლების დარღვევას.

2. ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაუმართაობა. კერძოდ, დანართის სახით წარმოდგენილ რამდენიმე დოკუმენტი (წიგნების; ინვენტარის; ქიმიური ლაბორატორიის აჭურვილობა), არ იძლეოდა იმის გარკვევის საშუალებას, აღნიშნული წარმოადგენდა ერთ დანართს, თუ მიღება-ჩაბარების აქტს ერთვოდა რამდენიმე დანართი. ამასთან, არც მიღება-ჩაბარების აქტში არ იყო მითითებული დანართების რაოდენობა. დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო დანომრილი, არ იყო ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, რაც იძლეოდა მისი განცალკევებისა და შეცვლის საშუალებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ქიმიური ლაბორატორიის ინვენტარის ჩამონათვალი დათარიღებული იყო 2013 წლის 13 დეკემბრით, მაშინ როდესაც მიღება-ჩაბარების აქტი მომზადებული იყო 2013 წლის 23 დეკემბერს. ამასთან, დანართების ნებისმიერ დროს ცვლილების ეჭვს ამყარებდა ის გარემოებაც, რომ თავდაპირველად ქიმიური ლაბორატორიის ინვენტარის გადაცემის შესახებ დანართი არ ყოფილა წარმოდგენილი (მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად), ექსპერტთა მიერ ქიმიის ლაბორატორიის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგ დაწესებულებამ განცალკევებით წარმოადგინა, დანართი და განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტს (23.12.2013) თანდართულ დოკუმენტს წარმოადგენდა. თუმცა, მიღება-ჩაბარების აქტისა (23.12.2013) და დანართის (13.12.2013) თარიღები არ ემთხვევოდა ერთმანეთს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შპს - „ორიენტირის“ (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების ოქმი №1 - თან (23.12.2013) დაკავშირებით ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს რამდენიმე გარემოებას. აღნიშნული ოქმისათვის მინიჭებული იყო ნომერი „ №1“, ოქმი გაფორმებული იყო 23.12.2013 წელს და წარმოადგენდა შპს ორიენტირის (ს/კ 200011904) პარტნიორთა კრების ოქმს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი შპს - ორიენტირის (საიდენტიფიკაციო კოდი: 200011904) პარტნიორთა კრების ოქმი №1, რომელიც დათარიღებული იყო 2013 წლის 8 ოქტომბრით, ხოლო მის შინაარსს წარმოადგენდა შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის დაფუძნება. 2013 წლის 8 ოქტომბრისა და 2013 წლის 23 დეკემბრის ოქმებს მინიჭებული ჰქონდათ ერთი და იგივე ნომერი



ერთსა და იმავე წელს. 2013 წლის 8 ოქტომბრის ოქმი რეგისტრირებული იყო სამეწარმეო რეესტრში. რაც შესაძლოა ყოფილიყო 2013 წლის 23 დეკემბრის ოქმის გაფორმებისა და პარტნიორთა კრების მიერ უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირისათვის მოძრავი ქონების გადაცემის საკითხში ექვის შეტანის საფუძველი.

3. ის გარემოება, რმ სტუდენტებს კვალიფიკაციას ანიჭებდა არაუფლებამოსილი ორგანო. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹⁹ ქვეპუნქტის თანახმად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის რექტორის 2014 წლის 28 მარტის №05 ბრძანებით დამტკიცებული იყო „შპს - უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის სასწავლო პროცესის (აკადემიური განათლების) მარეგულირებელი დებულება“, რომლის მე-17 მუხლის 17.1 პუნქტის თანახმად კოლეჯის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამავე მუხლის თანახმად, რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია სწავლობდა კურსდამთავრებულთა პირად საქმეებს და ამზადებდა დასკვნას ოქმის სახით კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინებოდა კოლეჯის რექტორს. ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე რექტორი იღებდა გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (ფაკულტეტები) არ წარმოადგენენ კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილ პირებს, რაც ეწინააღმდეგებოდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹⁹ ქვეპუნქტს, ვინაიდან, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენდა პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების სფეროში კვალიფიკაციის მიმნიჭებლად გვევლინება არა მართვის ორგანო, არამედ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. ამდენად, დაწესებულების მიერ დარღვეული იყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა შპს უმაღლესი სასწავლებელ ორიენტირისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭსყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406104727) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.



2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ჯოჯუამ და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა: მარიკა დარბაიძემ და თამთა კობახიძემ.

ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყო და დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის მინიჭებისათვის დადგენილ სამივე სტანდარტს. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა მხოლოდ ტექნიკური ხარვეზების დაფიქსირება დაწესებულების მიმართ, რაც გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში. კერძოდ, დაწესებულებას ნაწილობრივ გააჩნდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. სველ წერტილში არ იყო დამონტაჟებული სახელები ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. აღნიშნული გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში.


ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში, იმის გასარკვევად თუ რამდენად თანამშრომლობითი გარემო იყო დაწესებულებაში და რამდენად იყო უზრუნველყოფილი რესურსების ხელმისაწვდომობა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, აკადემიურ პერსონალთან ჩატარდა ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუება სტუდენტებთან. მათ დაადასტურეს, რომ დაწესებულებაში იყო თანამშრომლობითი გარემო და რესურსების ხელმისაწვდომობა დაწესებულების მხრიდან იყო უზრუნველყოფილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის განმავლობაში თანამშრომლობითი განწყობისათვის.

საბჭოს წევრი, ნინო სოზაშვილი დაინტერესდა, აპირებდა თუ არა დაწესებულება განათლების მართვის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აპირებდნენ განათლების მართვის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას, თუმცა ამ ეტაპზე ეს საკითხი დაწესებულების დღის წესრიგში არ იდგა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრა და აღნიშნა, რომ დაწესებულება ითხოვდა 500 ადგილის დამატებას, რადგანაც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა აქამდე 1500-ით ჰქონდათ განსაზღვრული. მან აქვე დასძინა, რომ დაწესებულებამ სასწავლო ფართად არ ჩათვალა ის ოთახები, რომლებიც არ იყო აღჭურვილი მერხებითა და საკმებით და საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა ამ ოთახების აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.



ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას 2000 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და დაწესებულებას რეალურად იმაზე მეტი მერხი და სკამი ჰქონდა წარმოდგენილი ვიზიტის დროს, ვიდრე დასკვნაში იყო აღნიშნული.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 30 დეკემბრის №129/ს გადაწყვეტილებით შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუ დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ - 2014 წლის 30 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206169304) 2014 წლის 30 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კახაბერ ერაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მარინა გედევანიშვილმა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები იყო დადებითი და ვიზიტის განმავლობაში არ დაფიქსირებულა შენიშვნები დაწესებულების მიმართ.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილი ისტორიის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, რომელის შერწყმაც მოხდა ცხინვალის უნივერსიტეტთან. მან განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებს 20 საბაკალავრო, 14 სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების და მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამას (მიღევად რეჟიმში). დაწესებულება ახორციელებდა შემდეგ პროფესიულ პროგრამებს: რძის გადამამუშავებლის მეოთხე საფეხურის, მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე და მეხუთე საფეხურის და სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამებს.

კახაბერ ერაძის განცხადებით, დაწესებულების 4633 საერთო ფართიდან, სასწავლო კორპუსის დაახლოებით 600 კვადრატულ მეტრზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, სადაც განთავსებული იყო ადმინისტრაციის ოთახები, მან აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ასევე იმყოფებოდა სააკრედიტაციო ვიზიტზე და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულებული იყო.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას ბიბლიოთეკა განთავსებული ჰქონდა როგორც ფაკულტეტებზე, ასევე, ცალკე შენობაში, რომელიც მდებარეობდა ქ. გორში შაფთოშვილის ქუჩა N34-ში.

პროფესიულ პროგრამებთან მიმართებით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას ძირითადი სასწავლო კორპუსებიდან განცალკევებით სხვა მისამართებზე ჰქონდა განთავსებული 2 შენობა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის. ასევე აღნიშნეს, რომ დაწესებულების სარგებლობაში იყო რძის ქარხანა, სადაც სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ რძის გადამამუშავებელი პროფესიული პროგრამის სტუდენტები. ამასთან, პროფესიული პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 91 აკადემიური პერსონალი და 1727 აქტიური სტუდენტი.



საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3500-ით განსაზღვრა, მათ შორის 500 ადგილი პროფესიული სტუდენტებისათვის.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას 3500 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №105/ს გადაწყვეტილებით სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუკი, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ - 2014 წლის 8 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3500-ით განსაზღვრის საკითხი, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542) 2014 წლის 8 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3500-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 20:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე